ევროკავშირი საქართველოსთვის

german cooperation

DW Akademie

MDF

მე ვარ ჟურნალისტი

ჟურნალისტის უფლებების გზამკვლევი

2024

თავისუფალი მედია

თავისუფალი მედია დემოკრატიული სახელმწიფოს ქვაკუთხედია. ჟურნალისტები ასრულებენ მაკავშირებელ ფუნქციას მთავრობასა და მოქალაქეებს შორის და თავიანთი საქმიანობით, მხარს უჭერენ სახელმწიფოში დემოკრატიული პრინციპების განმტკიცებას.

ჟურნალისტები აკვირდებიან და აღწერენ ფაქტებს, აანალიზებენ მოვლენებს, განცხადებებს, პოლიტიკას და ნებისმიერ სხვა ინფორმაციას, საზოგადოების ინფორმირების მიზნით და უზრუნველყოფენ ხელისუფლების ანგარიშვალდებულების გაზრდას მოქალაქეების წინაშე. ჟურნალისტების ასეთი განმარტება მოიცავს მედიის ყველა თანამშრომელს, ასევე ადგილობრივ მედიასა და ე.წ. „მოქალაქე-ჟურნალისტებს“ (Citizen journalists), რომლებიც კონკრეტულ მომენტში ასრულებენ მედიის ფუნქციას (OHCHR).

ჟურნალისტები, ასევე, არიან ადამიანის უფლებების დამცველები, ყურადღებას ამახვილებენ რა ადამიანის უფლებების დარღვევის, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევებზე, სააშკარაოზე გამოაქვთ ადამიანების სოციალური პრობლემები და ა.შ. ამდენად, ისინი სარგებლობენ ადამიანის უფლებათა დამცველებისთვის განსაზღვრული დამატებითი უფლებებით (CDMSI, OHCHR).

ჟურნალისტის ზოგადი უფლებები:

- ცენზურის გარეშე საქმიანობა (აზრის, გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება);
- ინფორმაციის დაუბრკოლებლად მიღების, დამუშავებისა და გავრცელების უფლება;
- წყაროს და ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის უფლება.

ჟურნალისტის ფიზიკური ხელშეუხებლობის, თავისუფლების, უსაფრთხოებისა და ღირსების დაცვის უფლება

- მუქარისგან, თავდასხმისა და სხვა სახის შევიწროვებისგან დაცვის უფლება;
- სასამართლოში შევიწროვებისგან, მათი საქმიანობის კრიმინალიზაციისგან, თვითნებური დაკავებისა და დაპატიმრებისგან დაცვის უფლება;
- დაცვის ეფექტური საშუალებებით სარგებლობის უფლება;
- პროფესიის აღიარების, საქმიანობის სამართლებრივად განხორციელების შესაძლებლობა;
- სტიგმატიზაციის და მარგინალიზაციისგან დაცვის უფლება;
- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.

უფლებები, რომელიც ქმნის ადამიანის უფლებების დაცვისთვის საჭირო უსაფრთხო და ხელსაყრელ გარემოს

- გაერთიანების, ასევე, პროფესიული ასოციაციების შექმნის უფლება;
- მშვიდობიანი შეკრების და გამოხატვის უფლება;
- ადამიანის უფლებების, როგორც ღირებულების განვითარების და ადვოკატირების უფლება;
- ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან დაუბრკოლებელი კომუნიკაციის უფლება;
- საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება, მათ შორის, ხელისუფლებისთვის წინადადებების წარდგენის უფლება ადამიანის უფლებების მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით;
- მოქალაქეებისთვის დახმარების გაწევის უფლება ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით;
- საჯარო განხილვებსა და სასამართლო პროცესებში მონაწილეობის/დაკვირვების უფლება, მისი შემდგომი [ადგილობრივ და საერთაშორისო კანონმდებლობასთან შესაბამისობის] შეფასების მიზნით;
- ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით რესურსების მოთხოვნის, მიღებისა და გამოყენების უფლება.

შეკრება-მანიფესტაციის დროს ჟურნალისტის უფლებები

ჟურნალისტების შეკრებების ადგილზე დაშვება და მათთვის გაშუქების შესაძლებლობის მიცემა შეკრების უფლების და სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების განუყოფელი ნაწილია. ამდენად, აუცილებელია, მედიის წარმომადგენლები, მათ შორის - მოქალაქე-ჟურნალისტები, დაცულები იყვნენ შეკრების გაშუქებისას.

შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზატორები და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები ვალდებული არიან, ხელი არ შეუშალონ პროფესიულ საქმიანობაში მაიდენტიფიცირებელი ნიშნის მქონე ჟურნალისტებს, რომლებიც აშუქებენ შეკრებას ან მანიფესტაციას. პასუხისმგებლობა ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლისთვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით *[შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ კანონი]*.

ამასთან, კანონი არ განსაზღვრავს რა შეიძლება იყოს ასეთი მაიდენტიფიცირებელი ნიშანი. საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, საიდენტიფიკაციო ნიშნად შესაძლოა გამოყენებული იქნას:

- დამსაქმებლის ან პროფესიული გაერთიანების მიერ გაცემული მოწმობა;
- ჟილეტი, ქურთუკი, ჩაფხუტი, ზურგჩანთა, სამკლაური - წარწერით "PRESS";
- პროფესიული აღჭურვილობა [მიკროფონი, ვიდეოკამერა].

საკითხი პრობლემურია მოქალაქე-ჟურნალისტების შემთხვევაში, რადგან ისინი მედიას, ტრადიციული გაგებით, არ წარმოადგენენ. ამდენად, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, ოპტიმალურია ჟილეტის/ქურთუკის/ჩაფხუტის/ზურგჩანთის/სამკლაურის გამოყენება წარწერით "PRESS", რომელზეც ასევე დატანილი იქნება სწრაფი რეაგირების (QR) კოდი იმ სოციალური ქსელის გვერდზე გადასაყვანად, სადაც ვრცელდება მის მიერ გაშუქებული ინფორმაცია.

ჟურნალისტისთვის საქმიანობაში ხელის შეშლა და მასზე რეაგირების მექანიზმები

მედიის როლი, მათ შორის, გულისხმობს ინფორმაციის გავრცელებას იმ საკითხებზე, რომელთა მიმართაც მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს. ჟურნალისტებს უწევთ მუშაობა მოვლენების ეპიცენტრში, სადაც შესაძლოა ისინი გახდნენ აგრესიის მსხვერპლი.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა განსაზღვრავს პასუხისმგებლობას ჟურნალისტის მიმართ ჩადენილი დანაშაულისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის გზით.

დაუშვებელია ჟურნალისტის დაკავება მაშინაც კი, თუ აქციის დაშლის ბრძანების გაცემის შემდეგ ისინი არ დატოვებენ ტერიტორიას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი ადგილზე ყოფნა პოლიციის მუშაობას ხელს უშლის (OSCE/ODIHR).

მუხლი 154. ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა ***[სისხლის სამართლის კოდექსი]***

1. ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, ესე იგი მისი იძულება, გაავრცელოს ინფორმაცია ან თავი შეიკავოს მისი გავრცელებისაგან,

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ორმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით,

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

> კანონის მიხედვით, დანაშაულად ითვლება ქმედება, რომელიც მოიცავს იძულებას <u>ჟურნალისტმა გაავრცელოს ინფორმაცია</u> ან <u>თავი შეიკავოს ინფორმაციის გავრცელებისგან</u>.

ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელის შეშლა გამოიხატება როგორც უშუალოდ ჟურნალისტზე, ისე სხვა პირებზე (ოპერატორი, პროდუსერი, მედიის სხვა თანამშრომელი) ზემოქმედებაში, რათა ჟურნალისტს მოუსპონ შესაძლებლობა, განახორციელოს საკუთარი პროფესიული საქმიანობა.

იძულება შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა გზით, რომელიც მიზნად ისახავს პირის ნებაზე ზემოქმედებას. თუ იძულებას ძალადობის მუქარა ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ახლავს, პირს უფრო მძიმე სასჯელი დაენიშნება.

იძულება შეიძლება გამოიხატოს: სიტყვიერი ან/და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებით; ტექნიკისა და აპარატურის დაზიანებით, მოვლენების გაშუქების შეწყვეტის მოთხოვნით და სხვ.

ქმედება რომ დანაშაულად ჩაითვალოს, საკმარისია იძულების განხორციელება, იმისდა მიუხედავად, პირმა მიაღწია თუ არა მიზანს. ამასთან, დანაშაულად არ ითვლება ჟურნალისტისთვის რჩევის მიცემა, (არ) გამოაქვეყნოს ესა თუ ის მასალა.

მაგალითი 1 | ჟურნალისტი სკვერში შეხვდა რესპოდენტს ინტერვიუს ჩამორთმევის მიზნით. იმავე სკვერში იმყოფებოდა X, რომელმაც უკმაყოფილება გამოთქვა რესპოდენტის მიერ ჟურნალისტისთვის მიწოდებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით და პროფესიული საქმიანობის შეწყვეტის მიზნით, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ჟურნალისტს, მოუწოდა მათ, შეეწყვიტათ ინტერვიუს ჩაწერა და არ გაევრცელებინათ ინფორმაცია. ასევე, წაართვა მიკროფონი და გადააგდო. ჟურნალისტმა გამოიძახა პატრული, რომელმაც განარიდა X და ჟურნალისტმა გააგრძელა საქმიანობა.

იმის მიუხედავად, რომ ჟურნალისტმა გააგრძელა საქმიანობა, X-ის ქმედება წარმოადგენს ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლას.

მაგალითი 2 | X ცნობილი პოლიტიკური შოუს ტელეწამყვანია, რომელიც ოჯახთან ერთად დასასვენებლად იყო წასული. K-ც იმავე ადგილას იმყოფებოდა, ამოიცნო ჟურნალისტი და თავს დაესხა მას - რადენჯერმე დაარტყა და აგინებდა იმ ტელევიზიას, რომელშიც X მუშაობდა.

პრაქტიკის თანახმად, სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მოქმედება არ ვრცელდება შემთხვევებზე, რომელიც შესაძლოა მიმართული იყოს ჟურნალისტისთვის საქმიანობაში ხელის შეშლისკენ, მაგრამ განხორციელებულია ჟურნალისტის მიმართ არასამსახურებრივ პერიოდში.

დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას შეიძლება წარმოადგენდეს ჩამოთვლილთაგან ერთი ან რამდენიმე მათგანი:

- ფოტო/ვიდეო/აუდიო ჩანაწერი;
- კომუნიკაციის ამსახველი მასალა;
- მოწმეები/თვითმხილველები;
- დაზიანებული აპარატურა;
- ჟურნალისტისთვის მიყენებული დაზიანებები;
- შემთხვევის ადგილზე გამოძახებული სამართალდამცავი ორგანოების მიერ შედგენილი ოქმი;
- სხვა ნებისმიერ რამ, რაც დაამტკიცებს პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტს.

მუხლი 156. დევნა

[სისხლის სამართლის კოდექსი]

1. ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, –

ისჯება ჯარიმით ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

2. იგივე ქმედება:
   ა) ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით;
   ბ) ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
   გ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, –

ისჯება ჯარიმით ან შინაპატიმრობით ვადით ერთიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

ჟურნალისტის მიმართ დევნა შეიძლება განხორციელდეს [სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკური, საზოგადოებრივი, პროფესიული, რელიგიური ან მეცნიერული მოღვაწეობის გამო] სამუშაოდან უკანონო დათხოვნით; საქმიანობაში დაბრკოლების შექმნით; პროფესიული საქმიანობის უკანონო აკრძალვით და სხვ. **თუ დევნას ახლავს** ძალადობა, პირი დანაშაულს ჩადის სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ან/და დევნას შედეგად მოჰყვება მნიშვნელოვანი ზიანი, პირს უფრო მძიმე სასჯელი დაენიშნება.

იმისთვის რომ ქმედება დანაშაულად ჩაითვალოს, საკმარისია დევნის დაწყება და არ არის სავალდებულო, დაზარალებულისთვის ამ ქმედებას არასასურველი შედეგი მოჰყვეს.

<u>მტკიცებულებები</u>

დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას შეიძლება წარმოადგენდეს ჩამოთვლილთაგან ერთი ან რამდენიმე მათგანი:

- ფოტო/ვიდეო/აუდიო ჩანაწერი;
- მოწმეები/თვითმხილველები;
- დაზიანებული აპარატურა;
- ჟურნალისტისთვის მიყენებული დაზიანებები;
- შემთხვევის ადგილზე გამოძახებული სამართალდამცავი ორგანოების მიერ შედგენილი ოქმი;
- სხვა ნებისმიერ რამ, რაც დაამტკიცებს პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტს.

მუხლი 126. ძალადობა

[სისხლის სამართლის კოდექსი]

1. ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, –

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

1^1. იგივე ქმედება, ჩადენილი:
ა) წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ;
ბ) ჯგუფურად;
გ) ორი ან მეტი პირის მიმართ;
დ) არაერთგზის, –

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

1^2. სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე ან 118-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, –

ისჯება შინაპატიმრობით ვადით ერთიდან ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

2. ამ მუხლის 1^2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:

ა)ორი ან მეტი პირის მიმართ;
ბ)დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ;
გ) დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით;
დ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ანდა დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის მიმართ;
ე) მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით;
ვ) შეკვეთით;
ზ) რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო;
თ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
ი) არაერთგზის;
კ) არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ;
ლ) ჯგუფურად;
მ) იარაღის გამოყენებით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

ჟურნალისტის მიმართ განხორციელებული ძალადობა შეიძლება გამოიხატოს - ***სისტემურ ცემაში*** *(როცა იგი ჩადენილია მინიმუმ სამჯერ, დროის მოკლე მონაკვეთში)* ან ***სხვაგვარ ძალადობაში*** *(თმებით თრევა; ჩქმეტა; დამწვრობის მიყენება; ცემა, რომელიც სისტემურ ხასიათს არ ატარებს; ხელების გადაგრეხა; პანღურის ამოკვრა და სხვ.), <u>რასაც მოყვება დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა/ტკივილი</u>.*

> თუ ძალადობა სხვა დანაშაულის შემადგენელი ნაწილია [მაგალითად, დევნა], ცალკე დანაშაულად არ განიხილება, როცა იგი ამ დანაშაულის დამამძიმებელი გარემოებაა.

ჟურნალისტის მიმართ ჩადენილი დანაშაულის შეტყობინება

ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის, ძალადობის, დევნის საქმეებს იძიებს სპეციალური საგამოძიებო სამსახური.

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:

ცხელ ხაზზე - 199
საზოგადოებრივი
უსაფრთხოების მართვის
ცენტრ - 112-ზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, სპეციალური საგამოძიებო სამსახური ყველა დაზარალებულს, სტატუსის ოფიციალურად მიღებამდეც კი, აძლევს საქმის მასალების გაცნობის შესაძლებელობას.

ჟურნალისტისთვის მიყენებული ზიანის სამოქალაქო სამართლებრივი გზით ანაზღაურების მოთხოვნის უფლება

მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა:

იმ შემთხვევაში თუ ჟურნალისტს მისი საქმიანობის განხორციელებაში ხელის შეშლისას, ასევე დაუზიანდა ჯანმრთელობა, მას აქვს მორალური ზიანის მოთხოვნის უფლება.

მუხლი 413. ზიანის ანაზღაურება
არაქონებრივი ზიანისათვის

[სამოქალაქო სამართლის კოდექსი]

1. არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.

2. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.

ადამიანის ჯანმრთელობა წარმოადგენს სკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაცულ ერთ-ერთ სიკეთეს, რომლის ხელყოფისათვის დაზარალებულმა შეიძლება მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება. მოთხოვნის აუცილებელ წინაპირობას წამოადგენს *ადამიანის ჯანმრთელობის ხელყოფა,* რის შედეგად დაზარალებულმა, ასევე *განიცადა სულიერი ტანჯვა, ფსიქიკური სტრესი;* ამდენად, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება გათვალისწინებულია ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად გამოწვეული სულიერი, ფსიქიკური ტანჯვის გამო.

მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა:

გარკვეულ შემთხვევაში, ჟურნალისტისთვის საქმიანობაში ხელის შეშლას შესაძლოა ახლდეს საქმიანობისთვის საჭირო ტექნიკის [მიკროფონი, ვიდეოკამერა და სხვ.] დაზიანება ან/და განადგურება. ასეთ შემთხვევაში მას შეუძლია მოსთხოვოს პირს ამ მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 992. [დელიქტური ვალდებულების] ცნება

[სამოქალაქო სამართლის კოდექსი]

პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

სკ-ის 992-ე მუხლის მიზნებისათვის პირი მაშინაა ვალდებული აანაზღაუროს ზიანი, როდესაც იგი სხვა პირს მართლსაწინააღმდეგოდ, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს.

დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომისთვის, არსებითია მისი შემადგენილი ოთხივე ელემენტის კუმულატიური არსებობა. ერთი პირობის არასებობაც კი გამორიცხავს პასუხისმგებლობას.



თუ ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტზე, რომელსაც შედეგად მატერიალური ზიანიც ახლდა, მიმდინარეობდა სისხლის სამართლის საქმე და არსებობს გამამტყუნებელი განაჩენი [ანუ, დადასტურდა რომ კონკრეტულმა პირმა ხელი შეუშალა ჟურნალისტს საქმიანობაში და იძალადა მასზე], შეგიძლიათ განაჩენი დამატებით მტკიცებულებად წარადგინოთ, რომელიც მატერიალური ზიანის მოთხოვნისთვის გათვალისწინებული წინაპირობების მტკიცებაში დაგეხმარებათ.

ჟურნალისტური საქმიანობის დაცვის საერთაშორისო მექანიზმი

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (United Nations) - გაეროს გააჩნია სხვადასხვა მექანიზმი, რომელიც ხელს უწყობს პრესის თავისუფლებას და იცავს ჟურნალისტებს. მაგალითად, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო არაერთი რეზოლუცია, რომელიც გმობს ჟურნალისტებზე თავდასხმებს და ხაზს უსვამენ პრესის თავისუფლების მნიშვნელობას. გარდა ამისა, UNESCO მუშაობს ჟურნალისტების უსაფრთხოების დასაცავად და მედიის თავისუფლების ხელშეწყობისთვის მთელ მსოფლიოში.

გაეროს სპეციალური მომხსენებელი გამოხატვის თავისუფლების საკითხებში (UN Special Rapporteur for Freedom of Opinion and Expression) - გაეროს სპეციალური მომხსენებელი გამოხატვის თავისუფლების საკითხებში არის დამოუკიდებელი ექსპერტი, რომელიც მონიტორინგს უწევს, შემდგომში მისი მოხსენებაში ასახვის მიზნით, გამოხატვის თავისუფლებას მსოფლიოს მასშტაბით, მათ შორის, ყურადღებას ამახვილებს ჟურნალისტებისა და მედიაში მომუშავე პირების თავდასხმებისგან, შევიწროებისა და ცენზურისგან დაცვაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (ECtHR) - ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი ადგენს გამოხატვის თავისუფლების დაცვის სტანდარტს, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის, გაშუქების და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე აზრის გამოხატვის უფლებას.

სასამართლო განიხილავს ჟურნალისტებისა და მედიაორგანიზაციების მიმართ აღნიშნული უფლების დარღვევის საქმეებს და იცავს ჟურნალისტებს ცენზურისა

და ჟურნალისტური საქმიანობის გამო შურისძიების/ანგარიშსწორებისგან. გარდა ამისა, ECtHR ადგენს სახელმწიფოების ვალდებულებას, დაიცვან ჟურნალისტები საქმიანობის განხორციელებისას, ხოლო ამ უფლების დარღვევის შემთხვევაში უზრუნველყონ დროული და ეფექტიანი გამოძიება.

ევროპის საბჭოს პლატფორმა ჟურნალისტიკის დაცვისა და ჟურნალისტთა უსაფრთხოებისთვის (Council of Europe Platform for the Protection of Journalism and Safety of Journalists) - ეს პლატფორმა, რომელიც შექმნილია ევროპის საბჭოს მიერ, ქმნის წევრ ქვეყნებში ჟურნალისტებზე თავდასხმების, მუქარისა და სხვა დარღვევების შესახებ შეტყობინების მექანიზმს. მისი მიზანია ცნობიერების ამაღლება, დიალოგის ხელშეწყობა და პრესის თავისუფლების წინააღმდეგ ქმედებებზე განსაზღვრავს ქვეყნის ანგარიშვალდებულებას საფრთხეებზე საპასუხოდ.

წინამდებარე მასალა მომზადდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით და ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ფედერალური სამინისტროს თანადაფინანსებით. ამ მასალის შინაარსი ადამიანის უფლებათა ცენტრის პასუხისმგებლობაა და არ გამოხატავს ევროკავშირის და გერმანიის ფედერალური სამინისტროს შეხედულებებს.

გზამკვლევი მოამზადა ადამიანის უფლებათა ცენტრმა

მისამართი:
0160 თბილისი , ა. გახოკიძის ქ. 11ა, III სართული
ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 2 38 46 48
ელ-ფოსტა: hrc@hrc.ge
ვებ-გვერდი: www.hrc.ge

ადამიანის უფლებათა ცენტრი
HUMAN RIGHTS CENTER (HRC)